ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6460692

ნომერი: AR1965418

თარიღი : 09.05.2023

გაცემის თარიღი : 19.05.2023

გაცნობის თარიღი : 25.07.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ხოჯელანი პ/ნ 01006014753
- თბილისი, დ/მ VIკვ; კორპ.5ა; ბ.3

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206155328
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს ,,საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი", დირექტორი სერგო ტეფნაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01028001559

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გოჩა ხოჯელანი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ 2023 წლის 9 მაისს ელექტრონულად ატვირთული AR1965418 განცხადება, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. N16-ში (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N17; 11.05.2023წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარყოფითად შეფასდა ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. N16-ში (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხი, რეკომენდაციით: პროექტი დამუშავდეს საბჭოს მიერ მოწონებული ვერსიის მიხედვით.
გარდა აღნიშნულისა, გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:

- არ არის წარმოდგენილი არსებული მდგომარეობის ამსახველი გენგეგმა;
- არ არის წარმოდგენილი ტოპოგეგმა, ხაზოვანი ნაგებობების ჩვენებით და არსებული ხენ-ნარგავების დატანით;

2. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი:

- არ არის წარმოდგენილი არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები;
- საპროექტო და არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები ჩაიშალოს ფართების ფუნქციების მიხედვით;
- არ არის წარმოდგენილი არსებული(დასაშლელი) შენობის სრულყოფილი ანაზომები;

3. წარმომადგენელის არსებობის შემთხვევაში მინდობილობა/რწმუნებულება. -> .მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი.:

- წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია, საჭიროა განახლებული მინდობილობის წარმოდგენა.

4. ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები -> ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). :

- სასურველია დამუშავდეს დამატებით კიდევ ერთი ხედი ა. ბოროდინის ქუჩიდან;

5. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა:

- ნომენკლატურის მიხედვით, პროექტით გათვალისწინებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები, ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები და მშენებლობის ნებართვა. წარმოდგენილი კვლევა ეხება ახალი სამ სართულიანი შენობის, მხოლოდ მშენებლობას. კვლევაში რეაბილიტაციაზე და ძეგლზე არაფერია ნახსენები.
- წარმოდგენილი კვლევის მიხედვით მოცემული შენობის სართულიანობისთვის (3 სართულიანი შენობის მშენებლობისთვის), სამთო გამონამუშევრების სიღრმეები არ შეესატყვისება „ს.ნ. და წ. 1.02.07–87“-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მით უმეტეს, რომ ბურღვისას გრუნტის წყლებიც გაიხსნა. კვლევის მიხედვით გაყვანილია 4 მ-ის სიღრმის ორი სამთო გამონამუშევარი - მიზეზი საჭიროებს დასაბუთებას.
- წარმოდგენილ ს/გეოლოგიურ კვლევას არ აქვს თანდართული დათარიღებული, ხელმოწერილი და ბეჭდიანი ნიმუშების და სინჯების ლაბორატორიული გამოცდების უწყისები და კრებსითი უწყისი;
- კვლევაში ნახსენებია, რომ გაიბურღა 2 ჭაბურღილი თითო 4 მ, ხოლო ლითოლოგიური სვეტებიდან ვიგებთ, რომ გაბურღულია ორი 5 მ-ანი ჭაბურღილი - საჭიროებს განმარტებას.

• სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიურ სვეტებს აკლია თარიღის გრაფა, სადაც მინიშნებული უნდა იყოს სამთო გამონამუშევრების გაყვანის დაწყების და დასრულების კონკრეტული თარიღი. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიურ სვეტებს აკლია გრუნტის ნიმუშების აღების ადგილების აღმნიშვნელების დატანა, მათი სიღრმეების - დონეების მითითებით.

• ვინაიდან კვლევა ეხება ახალი შენობის მშენებლობას, კვლევას აკლია საექსპერტო დასკვნა.

• ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნას კორექტირებული და განახლებული დოკუმენტაცია შენიშვნების გათვალისწინებით.

6. საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული დასკვნა ჩასატარებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ:

• კონსტრუქციულ და არქიტექტურულ ნაწილში შესაბამისობაში არ არის სვეტები;

• არ არის წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის და ჩასატარებელი სამუშაოების შესაძლებლობის შესახებ;

• დასკვნაში არ არის განხილული დაგეგმილი სამუშაოების მომიჯნავე შენობაზე, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე შესაძლო ზეგავლენა;

7. ამასთან დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს:

• საპროექტო ტერიტორიაზე/მის მიმდებარედ არსებული ხაზოვანი ნაგებობების მესაკუთრეებთან (შპს „თბილისის ენერჯი“, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი) შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაცია და შესაბამისი წერილობითი დოკუმენტები;

• „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მიხედვით დამუშავებული პროექტი და შესაბამისი საექსპერტო შეფასება;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ წარმოადგინოთ საბჭოს რეკომენდაციისა და გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით განახლებული სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე, მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.